დროის ფასი და პრობლემები საქართველოში

VALUE OF TIME AND RELATED ISSUES IN GEORGIA

ედუარდ მიქელაძე,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ტბელ აბუსერისძის
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

EDUARD MIKELADZE,
Doctor of Economy, Professor
Georgian Patriarchate St. Tbel Abuserisdze Teaching University.
Khichauri, Georgia

ანოტაცია

საქართველოში დროის მენეჯმენტის პრობლემას სამწუხაროდ არ ექცევა სათანადო ყურადღება, როგორც წესი, ნახევრად დატვირთული ან ქაოსური მუშაობაა. მუშაობა არ მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული, ასევე დაბალ დონეზეა ოპერატიული და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა-შესრულება. ხშირად გაუაზრებელი გადაწყვეტილების მიღება, ზოგჯერ, შეკრებები და თათბირები უბრალო ხასიათს ატარებს.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ,,დრო ფულია", ფული კი ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას თუ მან არ იცის დროის მართვა და ვინც დროს უაზროდ ფლანგავს, რადგან დრო ძალიან სწრაფად მიდის, დროს ვერ შეაჩერებ და ვერც უკან დააბრუნებ. ამიტომ ყველა პიროვნებამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას თანამედროვე დროის მართვის მანქანა.

თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტის ი. კეპლეროის აზრით: ,,უფალმა ადამიანს მისცა ჭკუა, რათა მან მისი მეშვეობით შეიცნოს იდუმალი წესრიგი, რომელიც გარემოს მბრძანებელია, და რომ მან ეს შემეცნება დაუდოს საფუძვლად თავის საკუთრებრივ პირობებს". ასევე დიბროს შეხედულების თანახმად: ,,სასარგებლოა იმის ცოდნა, რომ საქმის კეთების სურვილი გაძლევს გამბედაობას და გიადვილებს მას".

საკვანძო სიტყვები: *დროის მენეჯმენტი, დღის განრიგი, სიკეთე.*

ABSTRACT

Unfortunately, time management is not drawn the relevant attention to in Georgia. As a rule, there are half-loaded working processes. Moreover, it can be estimated as a chaotic state from the point of view of time managing, as well as the working processes are not oriented on the results. The same can be said about drawing up and accomplishing the plan of operational and strategic development, which do not meet the desirable rate. The decisions made without relevant discussions, and consequently, business meetings are not effective.

Everyone confesses that "time is money". And money is one of the essential factors for existence. You have no opportunity to succeed if you are not able to manage time properly. A great number of people simply waste their time, which is impossible to stop or take back. This is why each person should create a modern time-managing machine individually.

According to the world-wide recognized scientist-economist I. Capleroy "God gifted mind to humans to perceive that mysterious order that governs the universe, and this perception should be the basis for humans to create their own environment." According to Dibro "it's useful to know that the desire of doing something encourages you and simplifies your job."

Key words: *Time management, day schedule, goodness*

IV საუკუნის ქრისტიანი ფილოსოფოსი ჰიპონიის ეპისკოპოსი ნეტარი ავგუსტინე უღრმავდებოდა დროის ჭეშმარიტი არსის გაგებას. ის თვლიდა რომ დროის რთული პრობლემის გადასაწყვეტად მხოლოდ ადამიანური გონება არაა საკმარისი, ის ღმერთს სთხოვდა დახმარებოდა დროის ჭეშმარიტი არსის გაგებაში. ავგუსტინე ამბობდა რომ არ იარსებებდა დრო უფალი რომ არ იყოს მისი დასაბამი. ბიბლიური ტრადიციის თანახმად დრო სწორხაზოვანი და დასრულებადია. ისტორიის შინაარსს შეადგენს კაცობრიობის მოქმედება დროში. ისტორიაში ანუ დროში მიედინება ,,ზე ციური" და მიწიერი ქალაქების არსებობა და ბრძოლა." ნეტარი მამა ამბობს დროის გაზომვა მხოლოდ მაშინ შეგვიძლია როცა ის მიმდინარეობს და შეგვიძლია სწორედ იმიტომ, რომ მის მსვლელობას ვგრძნობთ., ნეტარი ავგუსტინე ამბობს რომ დრო არსებობს მხოლოდ ადამიანის სულში.

დროის მენეჯმენტი ეს არის დროის რეგულირების მეთოდების ერთობლიობა, რომელიც იცვლება დროსა და სივრცეში შექმნილი ვითარების შესაბამისად. ამ მხრივ განსხვავდება დროის მენეჯმენტის შემდეგი მეთოდები: 1. დეტერმინირებული; 2. რთული და ; 3. ალბათური.

რატომ უნდა ვისწავლოთ დროის მენეჯმენტი? - სამყაროში თითოეულ ადამიანს აქვს ერთი და იგივე რაოდენობის დრო - 60 წამი წუთში, 60 წუთი საათში, 1440 წუთი დღეში და 525600 წუთი წელიწადში.ძალიან ბევრი ადამიანი აღიარებს, რომ ვერ ახერხებს ამ დროის გამოყენებას და უმეტეს შემთხვევაში განიცდის დროში შეზღუდულობას. დროს ნებისმიერი საზოგადოების ფენაში ფასეულია და არასაკმარისი. რაც უფრო ეფექტურად და დროულად იყენებს ადამიანი დროს მით უფრო უკეთესად იცხოვრებს.

დროის დაგეგმვას ადამიანები იყენებენ სამოქმედო კურსის განსაზღვრისათვის, რომელიც სამი საფეხურისგან შედგება: 1) რა მიზანს ირჩევს ინდივიდი; 2) რა უნდა გააკეთოს ამ მიზნის მისაღწევად; 3) როგორ უნდა გაანაწილოს დრო ამ მიზნის მისაღწევად.

დროის ორგანიზებისას ინდივიდმა უნდა მოახდინოს თავის ხედვაში, დარწმუნებასა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებზე ფორმულირება. დროის ხარჯვის კონტროლისას ადამიანმა უნდა შეადგინოს წარმატების მისაღწევად გარკვეული მიზანი. დროის ხარჯვის კონტროლის შედეგს წარმოადგენს უნარი ზუსტად შეაფასოს მისი მუშაობის ხარისხი, ყაირათიანობა და ეფექტიანობა. დროის მართვას, სწორად განაწილებას ადამიანისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მისი წარმატების ფაქტორს სწორედ ყოველი წამი მაქსიმალურად გამოყენებაა საჭირო.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ,,დრო ფულია", დული კი ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას თუ მან არ იცის დროის მართვა და ვინც დროს უაზროდ ფლანგავს, რადგან დრო ძალიან სწრაფად მიდის, დროს ვერ შეაჩერებ და ვერც უკან დააბრუნებ. ამიტომ ყველა პიროვნებამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას საკუთარი დროის მართის მანქანა. პიროვნების მუშაობის ეფექტიანობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია დასახულ ამოცანათა გადაწყვეტისას დროში წინსწრება, რადგან განსაკუთრებით კარგია როცა დღეს ვაკეთებთ სახვალიო საქმეს და წინ გავიხედავთ.

დროის მენეჯმენტი ამარტივებს ცხოვრებისეულ მიზნებსა და ამოცანებს. მისი ძირითადი დანიშნულებაა ცხოვრების ყოველგვარი საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ცნობიერების სათანადოდ გამოყენება. დროის მიუღწევლობისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს სასწრაფო და მნიშვნელოვანი დეტალების გაუთვალისწინებლობა. დროის უსარგებლო ხარჯვის გამომწვევი ფაქტორებია: ა) არაორგანიზებულობა; ბ) დაყოვნება; გ) რისკის გაუთვალისწინებლობა; დ) ლოდინი; ე) უსარგებლო შეხვედრები; ვ) უსარგებლო სატელეფონო კავშირები.

მიზნის მიღწევის პროცესი ადამიანის მხრიდან მოითხოვს შემდეგი პირობების შესრულებას: განავითაროს სურვილი; განავითაროს რწმენა; ჩაინიშნოს ყველა დეტალი; გაანალიზოს საკუთარი მდგომარეობა და განსაზღვროს გეგმის დაწყების დრო; დაადგინოს საბოლოო ვადა; გააცნობიეროს შესაძლო რისკები; მოსალოდნელ მოვლენებს მიეცით ვიზუალური სახე და წინასწარ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ არასდროს დანებდეთ.

დღის განრიგი ანუ ,,სიის შედგენა" - ყველაზე მნიშვნელოვანი რამაა ადამიანის ცხოვრებაში. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ინდივიდმა სრულყოფაში მოიყვანოს წინა დღით ან დღის დასაწყისში დასახული გეგმა და ყოველდღიურად აწარმოოს ჩანაწერები თავის წიგნაკში. თანამედროვე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერ-ეკონომისტის ი. კეპლეროის აზრით: ,,უფალმა ადამიანს

მისცა ჭკუა, რათა მან მისი მეშვეობით შეიცნოს იდუმალი წესრიგი, რომელიც გარემოს მბრძანებელია, და რომ მან ეს შემეცნება დაუდოს საფუძვლად თავის საკუთრებრივ პირობებს". ასევე დიბროს შეხედულების თანახმად: ,,სასრგებლოა იმის ცოდნა, რომ საქმის კეთების სურვილი გაძლევს გამბედაობას და გიადვილებს მას".

სხვადასხვა კულტურის ერები დროს განსხვავებულად აფასებენ: ამერიკელებისთვ ის - დრო ფულია, მათ საზოგადოებაში დრო ყველაზე მეტად ფასობს, ამიტომ ისინი მოქმედების ხალხია, უსაქმურობა მათთვის აუტანელია.

გერმანელები - ნებისმიერი ადამიანი აღნიშნავს, რომ ევროპაში ყველაზე პუნქტუალურები არიან. აღნიშნულ ერს შემდეგი თვისებები ახასიათებს: მონდომება, სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, ერთგულება და სიფაქიზე.

ნორვეგიელები - მათი სამეფო დევიზია: ,,ყველაფერი ნორვეგიისთვის".

რატომ უნდა დაისახოს ადამიანმა მიზანი: მიაღწიოს მეტს; უკეთესად შეასრულოს მოვალეობები; მატებს სიამაყეს, თვითკმაყოფილების და თავდაჯერებულობის გრძნობა. ასევე პიროვნებისთვის აუცილებელია: ა) სპეციფიკურობა; ბ) მიღწევადობა; გ) განსაზღვრულობა; დ) დიდი შანსი და ე) დროში შეზღუდულობა.

თანამედროვე ცხოვრებაში დროის უკმარისობა ყველაზე აქტუალური თემაა, რომლის განსაზღვრა და ერთ კონკრეტულ ჩარჩოში მოქცევა საზოგადოების უმეტესი ნაწილისთვის გადაუჭრელ პრობლემად რჩება. იმისათვ ის, რომ წარმატებას მივაღწიოთ უნდა დავისახოთ მიზანი და ვებრძოლოთ დროს. ,,დრო დროზე ჩქარა მიქრის", ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია, ის რომ ადამიანი იბადება, იზრდება და ბოლოს კვდება.

დროის დაგეგმვა საჭიროებს გამიზნულ არსს, თუ როგორ მართო დრო შემდეგ ხუთ სფეროში: ა) ფიზიკურ სფეროში; ბ) გონებრივ სფეროში; გ) საზოგადოებრივ სფეროში; დ) კარიერის სფეროში და; ე) სულიერ სფეროში.

როდესაც ვაკვირდებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, უპირველესად პარალელს ვავლებთ ჩვენს ქვეყანას. სამწუხაროდ, დროის ცუდად აღქმის პრობლემაა და აქილევსის ქუსლადაა მიჩნეული საქართველოში. ჩვენ ადამიანებს მუდამ თან გვდევს იმის შეგრძნება, რომ სათანადოდ ვერ ვიყენებთ ჩვენდამი დაქვემდებარებული დროის სწორად მართვას, ხშირ შემთხვევაში პრობლემა ისევ ჩვენშია, ჩვენს არაორგანიზებულობაში, მართვასა და ყოველდღიური საქმიანობის არასისტემატურობაში, დროის არასწორად დაგეგმვაში და მის არასწორ გამოყენებაში. დროის მართებულად მართვისა და დაგეგმვის ერთიანი სისტემა არის ერთ-ერთი ქმედითი საშუალება ამ პრობლემასთან საბრძოლველად, ის გვეხმარება თითქმის თითოეული ადამიანის დონეზე დავშალოთ და გავანაწილოთ როლები, ფუნქციები და ამოცანები საერთო მიზნის მისაღწევად.

მართო საკუთარი თავი - ესაა ყველაზე მაღალი ძალაუფლება. სამუშაო დღის ორგანიზაცია უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ,,სამუშაო უნდა ექვემდებარებოდეს სამუშაოს თანმიმდევრობას". სამუშაო დღის დაწყება სასურველია პოზიტიური განწყობით და ჩამოვაყალიბოთ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა.

ყოველი ახალი დღე დაცული უნდა იყოს, სამუშაო დროის დასაწყისში, სასურველია გადავამოწმოთ შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და თუ საჭიროება მოითხოვს კორექტირების განხორციელება. უარი უნდა ითქვას რყევებზე. სასურველია დილაობით დაკავდეთ სრული და მნიშვნელოვანი საქმეებით: საკმაოდ სწრაფად მიმდინარე საქმეებმა ჩაგვითრიოს თავის დინებაში და დრო დარჩება ანალიზისა და გააზრებისთვის.

მუშაობის პროცესში გამუდმებით ადგილი აქვს საქმისაგან მოწყვეტის ცდუნებას. დრო, როცა მოფიქრებული და გააზრებული უნდა იქნას პრობლემები, ეს არ არის დრო გონებრივი მოდუნებისათვის. სამუშაო დღე სრულდება შესრულებული საქმის შეჯამებითა და მეორე დღის საქმეების გადახედბით. საჭიროა დასვენება და ხვალ უნდა ავდგეთ ოპტიმისტები. უნდა გავაანალიზოთ, რომ რამემ არ შეგვიშალოს ხელი, სად იყო რისკები, სად გვქონდა ფუჭი კომპრომისები და რა სარგებელი მივიღეთ ყოველი ახალი დღისაგან. შესაძლებელია სამუშაო დღე შეფასდეს ხუთბალიანი სისტემით:

5 ბალი - იშვიათად წარმატებული დღე; 4 ბალი - განსაკუთრებით წარმატებული დღე; 3 ბალი - საშუალო დღე; 2 ბალი - შეიძლება უკეთესი ყოფილიყო; 1 ბალი - წარუმატებელი დღე.

ყველა ადამიანს ესაჭიროება საქმიანიო კალენდრის შედგენა, რადგან ეს არის ინფორმაციული ხასიათის ფილოსოფია, ინსტრუმენტი

მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის, სამსახურებრივი და პირად ცხოვრებაშიც. თავდაპირველად ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ მიზნები, ასე რომ მიზნები შემდგომ გვიყალიბებენ საერთო სამოქმედო გეგმებსა და ამოცანებს. სწორედ დაგეგმვის მთელი სისტემა ეს არის სამუშაოებისა და ვადების გამუდმებული დაზუსტებას, დროის რესურსების თანმიმდევრული შევსება.

თითოეულმა ადამიანმა სასურველია თავიანთი საქმიანობის მსვლელობისას მუჯდმივად აწარმოონ მოვლენების აღნუსხვა, სადაც უნდა დააფიქსირონ ტავიანთი აზრები და მიღწეული შედეგები. დღიურის წარმოების საოცარი ტვისება გამოავლინეს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა. მათ კვლევებიდან დაადგინეს, რომ საკუთარი აზრების რეგულარულად გადმოცემა ქაღალდზე კეთილ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ხსნის დეპრესიას. დღიურის წარმოება საშუალებას იძლევა ლიკვიდირებული იქნას სადავო საკითხები საქმიანი ურთიერთობების მსვლელობაში სამომავლოდ.

უარესი - კარგის მტერია. შეიძლება თავი დაიცვა სულელისგან, მაგრამ არა - სიახლისგან. რთულ პრობლემებს ყოველთვის აქვს მარტივი, აღსაქმელად არასწორი გადაწყვეტა. სიტუაცია შექცევადი ხდება მაშინ, როდესაც შეუძლებელიას თქვა: მოდი ყველაფერი დავივიწყოთ. არსებობს კარგი ქცევის ოთხი ძირითადი წესი: ა) თავაზიანობა; ბ) ღირსება; გ) უბრალოება და; დ) კარგი აღზრდა. ასევე არსებობს ფინანსური წარმატების მიღწევის მრავალი გზა და ამდენივე რეცეპტი, კერძოდ კი მთავარი ისაა, რომ ყოველთვის უნდა ეყრდნობოდე საკუთარ თავს.

აშშ-ის ექვსი პრეზიდენტის მრჩეველმა ბერნარდ მ. ბარუხამ ჩამოაყალიბა ხელმძღვანელობის შემდეგი რჩევები:

- ორგანიზებული ადამიანისათვის არსებობს მრავალი შესაძლებლობა, გახდეს მდიდარი;
- იმისათვის, რომ გააკეთო ფული უნდა გქონდეს განსაკუთრებული ნიჭი;
- ყველამ უნდა აკეთოს ის, რაც მას შეუძლია;
- ყოველთვის ისწავლეთ სხვის შეცდომებზე;
- იმისათვის, რომ მოვიპოვოთ ფული, თქვენ იმაზე უნდა ფიქრობდეთ სულ: ჭამის, სეირნობის და ღამითაც კი;
- არსებობს საქმიანობის მრავალი სფერო, სადაც თქვენ მიაღწევთ წარმატებებს. უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ გახდეთ ნამდვილი ჯელტმენი. მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი ალლენ მაკკენზი ამბობდა, რომ: ,,არაფერია იმაზე ადვილი, რომ იყო დაკავებული და არაფერი იმაზე ძნელი, რომ იყო შედეგიანი";
- თქვენ შეიძლება შეცდეთ, მაგრამ სულით ნუ დაეცემით, დაიწყე იქიდან, საიდანაც წაიფორხილეთ - იარეთ წინ;
- როცა თქვენ შეჩერდებით რაიმე იდეაზე, განუწყვეტლივ იფიქრეთ მასზე, განავითარეთ იგი და არ შეჩ ერდეთ მანამდე, სანამ არ მიაღწევთ მიზანს;
- თქვენ უნდა შეისწავლოთ თქვენი თავი და შესაძლებლობები;
- თუკი თქვენ წაგაქციეს, სწრაფად წამოდექით და ,,შეჯექით იმ ცხენზე რომლიდანაც გადმოვარდით";
- იყავით საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ მიიღოთ, გაიაზროთ და შეცვალოთ მოქმედებების მიმართულება, თუკი ერთ ადგილს ტკეპნით;
- მიიღეთ გადაწყვეტილება: ,, მე შემიძლია გავაკეთო ფული". ცადე გახდეთ ჩემპიონი შემოსავლების მიხედვით.

ასევე ადამიანებისათვის აუცილებელი უნდა გახდეს შემდეგი ცნებები: ა) აკეთე სწორი საქმეები და არა საქმე აკეთე სწორად; ბ) დაზოგვის ნაცვლად მოახდინეთ რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია; გ) აამაღლეთ მოგება დანახარჯების შემცირების ხარჯზე; დ) მიაღწიეთ შედეგებს მოვალეობის შესრულების ნაცვლად; ე) შექმენით ალტერნატივები პრობლემების გადაჭრის ნაცვლად.

ადამიანი, რომელიც ჩაკეტილია თავის განცდებში და გულჩათხრობილია, ძნელია მათთან რაიმე ურთიერთობის დამყარება. წარუმატებლობის შემთხვევაში ადანაშაულებს სხვ ებს, როცა წაშლილია ზღვარი ადამიანსა და საქმეს შორის, ეს საქმეს ,,შთანთქავს" ადამიანს. ამ დროს ადამიანი ანაწილებს სხვადასხვა ნივთში და ამ დროს შეიძლება აღმოჩნდეს უზარმაზარი ჭეშმარიტებანი და უდიდესი აღმოჩენები. ადამიანი რომელმაც მოახდინა თავისი თავის კონკრეტულ საქმეში რეალიზება, ვერასოდეს ვერ შეიცნობს და დაინახავს საკუთარ თავს.

ჯერ კიდევ კიდევ ძველ წელთა აღრიცხვით VI საუკუნეში ლაო ძი ამბობდა, რომ ,,ადამიანს ბედის მოწყობა მისსავე ხელში. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა იგი დაარწმუნოს საკუთარი თავი ქცევის შედეგების კეთილგონიერებაში ანდა დამანგრეველ ძალებზე". გერმანელი მწერალი კ. ბრანტი კი ამბობდა, რომ: ,,იჩქარე დღეს გახდე უკეთესი, ხვალე რომ არ იჩქარო", ასევე გერმანელიკ პოეტი ფ. ლოგაუ აღნიშნავდა, რომ: ,,ბრძოლა საკუთარ თავთან ყველაზე ძნელია. გამარჯვება - გამარჯვებათა შორის - არის გამარჯვება საკუთარ თავზე". ი. ვ. ჰატე ამბობდა, რომ ,,ადამიანის სიღრმეში თვლემს შემოქმედებითი ძალა, რომელსაც შეუძლია შექმნას ის, რაც უნდა იყოს, იგი არ გვაძლევს მოსვენებას და სიმშვიდეს, სანამ არ გამოვხატავთ მას ამა თუ იმ გზით".

მაგალითად: საკუთარი თავის შესახებ მოვიყვანოთ რამოდენიმე ასეთი ტიპის ფრაზა: 1) მეფე უნდა ჰგავდეს მეფეს, როგორც არ უნდა მოიქცეს ადამიანებს ვერ გააცურებს; 2) ყველაფერი დამოკიდებულია ჩემზე და არა სხვებზე. ირგვლივმყოფელთან მიმოსვლის გზა თვით ჩემშია; 3) ადამიანებს, რომლითაც არ მოსწონთ საკუთარი სახლი, არ უყვართ საკუთარი თავი; 4) ადამიანების უმეტესობას სხვისი აზრის წაკითხვის უნარი არ აქვს; 5) თვალები - პიროვნების ასახვაა, ყურადღება მიაქციეთ მათ გამომეტყველებას; 6) მე ვეცდები მივაღწიო ჩემს მიზნებს; 7) მე გავაკონტროლებ საკუთარ თავს; 8) სიკეთე ყოველთვის იმარჯვებს; 9) წარმატება - ეს არის ანგარების საპირისპირო რამ.

ადამიანების გამაძლიერებელ ფაქტორებს განეკუთვნება შემდეგი ფაქტორები: ა) გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობების განვითარება; ბ) შრომის უნარიანობის ამაღლება; გ) უნარი ეფექტიანად აღაფრთოვანოს ხალხი; დ) უნარი მოხსნას ნერვიული დაძაბულობა; ე) უნარი დატკბეთ თავისუფალი დროით; ვ) მისწრაფება განვითარებისაკენ; ზ) მეხსიერების განვიტარება; თ) ჯანმრთელობის განვიტარება ვარჯიშის შედეგად.

დროის გამოყენების პრობლემების მხრივ საქართველო მარტო არ დარჩენილა, ზუსტად ერთნაირ სიტუაციაში იმყოფებიან იტალია, საფრანგეთი და ესპანეთი.

იტალიელებისათვის - გარდაცვალება და ფულის გადახდა გვიან არასოდეს არის. მათი მთავარი პრინციპია - ,,საქმე საქმეზე რომ მიდგეს რატომ უნდა ვიჩქარო როდესაც ცა ასე უსაზღვროდ ლამაზია, მზე ანათებს, მიწა კი ნაყოფს იძლევა".

ფრანგებისთვის - პუნქტუალურობას რაც შეეხება, ისინი ზოგ შეხვედრაზე დროულად მიდიან, ზოგან კი აგვიანებენ. ხუმრობენ კიდეც - საფრანგეთში შეხვედრაზე მისვლის დროის მიხედვით შეიძლება ადამიანის ხასიათისა და მისი თვისებების დადგენაო.

ესპანელებისათვის - საქმიან კონტრაქტებს შედარებით გვიან, დღის მეორე ნახევარში ნიშნავენ, მათ ბევრი საუბარი უყვართ, ამიტო შეხვედრის რეგლამენტს ხშირად ვერ იცავენ და დაგვიანება დასაშვებია.

ჩენს ქვეყანაში დროის მენეჯმენტის პრობლემას სამწუხაროდ არ ექცევა სათანადო ყურადღება. როგორც წესი, ნახევრად დატვირთული ან ქაოსური მუშაობაა. მუშაობა არ მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული, ასევე დაბალ დონეზეა ოპერატიული და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა-შესრულება. ხშირად ხდება გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღება, შეკრებები და თათბირები უბრალო ხასიათს ატარებს.

საქართველოში იშვიათად თუ ვინმე აფასებს დროის მნიშვნელობას: სოფლად მცხოვრები მოსახლეობის უმრავლესობა ზამთრისთის შეშას დროულად არ იმარაგებს, ხოლო ქალაქში მცხოვრებნი კი - ფიქრობენ: მაინც ახლოს ვცხოვრობ სამსახურთან და ჯერ რა მაჩქარებსო. ქართველებმა კარგად უნდა შევიგნოთ ჩვენი სასიქადულო წინაპრების ქარაგმული გამონათქვამები: ზამთრისთვის ზაფხულში უნდა ემზადო და ზაფხულში ზამთრისათვისოო.

ასევე კარგად უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ქვეყნის სასიქადულო მეფის დავით IV ბაგრატიონის ,,აღმაშენებლის" საუბარი თავის მამასთან - გიორგი მეფესთან. მათი საუბრის ტექსტი ასეთია: შვილო დავით სად მიიჩქარი, ბიზანტიიდან სამეფო კარის დიდებულები გვესტუმრნენ და ეგება ცოტა ხნით მაინც გადადო წასვლაო, ხოლო დავიტ მეფის მოკრძალებული პასუხი მამისადმი კი ესეთი იყო - თქვენზე უკეთეს მოსაუბრესა და თამადას ძნელად თუ მოიძებნება, ამიტომ გთხოვ თქვენ გაუმასპინძლდით მეფური დიდებითო, სხვათაშორის სტუმარი არასოდეს გამოელევა საქართველოს და მე თუ ყოველ მათგანს გადავყევიკ, ჩემს გასაკეთებელ საქმეებს ვერავინ

გააკეთებს და მტერსაც ვერავინ განდევნის ჩვენი ქვეყნიდანაო".

სწორედ ჩვენი წინაპრებიდან უნდა ვისწავლოთ დროის ფასი და მნიშვნელობა იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ შეძლოს განვითარება და ძველი დიდების აღდგენა. ამისათვის ყველა თითოეულმა საქართველოში მცხოვრებმა ადამიანებმა დროის თითოეული წამი ჩვენი ქვეყნის განვიტარებას მოვახმაროთ, როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი ქვეყნის დიდებული მეფეები: ფარნავაზ მეფე, დავით IV აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი V ბრწყინვალე და სხვები.

მსოფლიოში ცნობილი ეკონომისტი ა. ბ. ოსბორნი ამბობს, რომ: ,,მას შემდეგ, რაც ისწავლით თქვენი შრომის ორგანიზაციას, ყველა დანარჩენი რისი შესწავლაც თქვენ მოგიწევთ მართვის სფეროში, საბავშვო გასართობათ მოგეჩვენებათო". საქმიანი კალენდარი აუცილებელია ყველა ადამიანისათვის. ეს არის ინფორმაციული ფილოსოფია, ინსტრუმენტი მიზნების ეფექტიანად მიღწევისათვის, სამსახურებრივი საქმიანობასა და პირად ცხოვრებაში. ყველა პიროვნებამ უნდა გააცნობიეროს დღიურის მნიშვნელობა, მისი თვისებები და დანიშნულება, ასევე უნდა გაარკვიოს დროის დაკარგვის ძირითადი მიზეზები და როგორ უნდა მოახდინოს დროის საერთო კაპიტალის გამოთვლა.

დასკვნა

ჩენს ქვეყანაში დროის მენეჯმენტის პრობლემას სამწუხაროდ არ ექცევა სათანადო ყურადღება. როგორც წესი, ნახევრად დატვირთული ან ქაოსური მუშაობაა. მუშაობა არ მიმდინარეობს შედეგზე ორიენტირებული, ასევე დაბალ დონეზეა ოპერატიული და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედგენა-შესრულება. ხშირად ხდება გაუაზრებელი გადაწყვეტილებების მიღება, შეკრებები და თათბირები უბრალო ხასიათს ატარებს.

მართო საკუთარი თავი - ესაა ყველაზე მაღალი ძალაუფლება. სამუშაო დღის ორგანიზაცია უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს: ,,სამუშაო უნდა ექვემდებარებოდეს სამუშაოს თანმიმდევრობას". სამუშაო დღის დაწყება სასურველია პოზიტიური განწყობით და ჩამოვაყალიბოთ კარგი ფსიქოლოგიური განწყობა.

ყველა თანხმდება იმაზე, რომ ,,დრო ფულია", ფული კი ადამიანის არსებობისთვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. ადამიანი ვერასოდეს მიაღწევს წარმატებას თუ მან არ იცის დროის მართვა და ვინც დროს უაზროდ ფლანგავს, რადგან დრო ძალიან სწრაფად მიდის, დროს ვერ შეაჩერებ და ვერც უკან დააბრუნებ. ამიტომ ყველა პიროვნებამ ინდივიდუალურად უნდა შექმნას თანამედროვე დროის მართვის მანქანა.

ჩვენი შემდგომი ნაშრომი ძირითადად დაეთმობა იაპონურ მენეჯმენტსა და იაპონელების ტექნოლოგიებს დროის სწორად აღქმასა და გამოყენებაში სხვადასხვა ცნობილიო კომპანიების მაგალითებზე.

ლიტერატურა

[1] **იობაშვილი თ.** თაიმ-მენეჯმენტი ანუ დროის მართვა, ჟურნალი ,,ბიზნესი და კანონმდებლობა", [გვ., 45-52]., 3, 2012 წ;

[2] **გურგენიძე ვ., სვანიძე ვ.,** შრომის ნორმირება, [გვ., 50-75]., თბილისი, 1997 წ;

[3] **ხარხელი მ.,** - ,,დროის მენეჯმენტი", [გვ., 34-45] თბილისი-2015 წ;

[4] **გამსახურდია კ.,** - ,,დავით აღმაშენებელი", [გვ., 175-176] თბილისი - 1992 წ;

[5] **Архангельский Г., Лукашенко М.**, и др. - ,,Тайм-менеджмент", М., 2014 Г;

[6] **Васильченко Ю.,** -.,Механизмы времены", Киев., 2001Г.

[7] ვებ-საიტი: http://myprofession.studio77.ge

[8] WWW. Sapatriaro.ge

REFERENCES:

[1] **IobaShvili,** "Time-management or Running the time" journal "Business and Legislation" [p. 45-52], 3 3, 2012

[2] **GurgenidzeV., Svanidze V.** "Labou Norms, [p. 50-75]. Tbilisi, 1997

[3] **Kharkheli M.** "Time Management" [p. 34-45] Tbilisi 2015

[4] **Gamsakhurdia K.**: David the Builder [p. 175 -176] Tbilisi, 1992

[5] **Arkhangelsky G, Lukashenko M.** "Time-management" M. 2014

[6] **Vasilchenko Y.** "Time machine" Kiev, 2001

[7] ვებ-საიტი: http"//myprofession.studio77.ge

[8] www. Sapatriarco.ge